თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 12

21. 10. 2020 წ.

ქ.თელავი

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის **თავმჯდომარე ნანა ხვისტანი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, არჩილი თვალიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ლიკა ალადაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი **ელენე ფროდეული.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N18 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N18 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ წარმოდგენილი დებულების ძეგლთა დაცვის განყოფილების ფუნქციები გადასახედია და რეკომენდირებულია ცვლილებების განხორციელება რადგან არ მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის სააგენტოს ფუნქციების გადაკვეთა. დებულების მოქმედ ვარიანტში რამდენიმე მუხლი მოითხოვს რედაქციული ხასიათის ცვლილებებს.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ნორმატიული აქტის წარმოდგენილ ვარიანტს.

გადაწყვიტეს: ნორმატიული აქტის პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: 6 **ნანა ხვისტანი**